

**ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა და
პროექტის „ქართული მხატვრობა“ მესამე ალბომის პრეზენტაცია**

19 დეკემბერს, 19:00 საათზე, თიბისი გალერეაში ქართველი ფერმწერისა და გრაფიკოსის, ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება.

ექსპოზიციაზე, მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში, წარმოდგენილი იქნება მხატვრის ტილოები, რომლებიც აქამდე მხოლოდ კერძო კოლექციებში ინახებოდა, მათ შორის რამდენიმე ნამუშევარს არასოდეს დაუტოვებია კოლექციონერთა კედლები!

თიბისი გალერეაში დამთვალეიერებელი ნახავს ახვლედიანის პეიზაჟებს: ზამთარი - სხვადასხვა დროსა და შემოქმედებით ეტაპზე შექმნილი 5 ნამუშევარი, ასევე ძველი თბილისისა და სიღნაღის ხედები, სვანეთი, პრადის ხედი და ა.შ. ამავე გალერეაში წარმოდგენილი იქნება ელენე ახვლედიანის შემოქმედებისგან სრულიად განსხვავებული ნამუშევრები „აბსტრაქცია“ და „ცხრა ძმა ხერხეულიძე“. ეს უკანასკნელი ელენე ახვლედიანმა 1939 წელს, დაკვეთით შეასრულა.

გამოფენის პარალელურად შედგება პროექტის „ქართული მხატვრობა“ მესამე წიგნის „ელენე ახვლედიანი“ პრეზენტაცია.

პროექტი „ქართული მხატვრობა“, რომელიც გულისხმობს ყველა დროის გამოჩენილი ქართველი მხატვრების ალბომების სერიის გამოცემას, ქარჩხადის გამომცემლობის მიერ, თიბისი ბანკსა და ჟურნალ „ტაბულასთან“ ერთად ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში თიბისი გალერეაში უკვე შედგა ქართველი მხატვრების, ავთო ვარაზისა და გიგო გაბაშვილის პერსონალური გამოფენები და ალბომების „ავთო ვარაზი“ და „გიგო გაბაშვილი“ პრეზენტაციები. თიბისი გალერეა გააგრძელებს გამოფენათა ციკლს და ყოველი ახალი ალბომის კვალდაკვალ, ყოველთვიურად შედგება ცნობილი ქართველი მხატვრების გამოფენები.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეორპორატიული ტლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული ეომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3